შეყრილაძე და ცხოვრებოვი — ჩემპიონები

კიევი, 29 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დამთავრდა საკავშირო პირადი ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში უმჩატეს, ქვემსუბუქ, საშუალო და ქვემძიმე წონის ათლეტთა შორის. ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლდათ საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის ვ. გურევიჩის წარუმატებლობა. მან მარცხი იწვნია 20 წლის მახაჩყალელ ა. ვაგაბოვთან ორთაბრძოლაში და ფინალამდე გამოეთიშა ასპარეზობას. I ადგილი დაისაკუთრა საქართველოს წარმომადგენელმა ა. ცხოვრებოვმა, რომელსაც ფინალში ფრეც ჰყოფნის მთავარ მეტოქეებთან — ა. მოროზოვთან და გ. მუსაევთან. მაგრამ ცხოვრებოვმა „ვეგმას" გადააჭარბა — დაამარცხა მუსაევი და პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

არანაკლებ მოულოდნელი იყო ქვემძიმე წონის მთავარი ფავორიტის, ევროპის ჩემპიონის შ. ლომიძის მარცხი. ლომიძეს მეტოქეებზე უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა მთელი ტურნირის მანძილზე — ფინალში უკრაინელი ვ. გულიუტკინის წინაშე მხოლოდ 1 საჯარიმო ქულით წარსდგა. კიეველს ამ შეხვედრაში მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, ვინაიდან 2 საჯარიმო ქულა უკვე ჰქონდა. ლომიძემ მიზნად დაისახა ფრე და ვფიქრობ, მიზანთან სულ ახლო იყო, როცა მსაჯებმა მას მოულოდნელად გაფრთხილება მისცეს. ეს თავისთავად დამარცხებას ნიშნავდა.

ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონის წოდება დაიბრუნა ზ. შეყრილაძემ (უმჩატესი წონა). ბოლო წრეში იგი მაყურებლის როლში იყო და მღელვარებით ადევნებდა თვალს შომახოვ — ბარსუკოვის ჭიდილს. ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა, რამაც შეყრილაძეს ოქრო მოუტანა.

საქართველოს მოჭიდავეები კიევის ტურნირით უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ, რადგან ყოველ წონაში თითო საპრიზო ადგილი დაიკავეს: ქვემსუბუქ წონაში ბრინჯაოს მედალი დისკუთრა ტ. ყვარელაშვილმა, რომელმაც წინ მხოლოდ გამოცდილი ათლეტები — ზ. აბდულბეკოვი და ვ. კაზახოვი გაუშვა.

ო. ბუჩმა.

აი, წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორთა სია:

უმჩატესი. 1. ზ. შეყრილაძე (ქუთაისი), 2. კ. შომახოვი (მახაჩყალა), 3. ლ. ბარსუკოვი (კიევი).

მჩატე. 1. ა. ალიევი (მახაჩყალა), 2. ვ. ჩუმაკოვი (კიევი), 3. მ. მაკსიმჩენკო (მოსკოვი).

ქვემსუბუქი. 1. ზ. აბდულბეკოვი (მახაჩყალა), 2. ვ. კაზახოვი (მოსკოვი), 3. ტ. ყვარელაშვილი (თბილისი).

მსუბუქი. 1. ი. გუსოვი (კიევი), 2. ზ. ბერიაშვილი (თბილისი), 3. ს. გაჯიევი (მახაჩყალა).

ქვესაშუალო. 1. ი. შახმურადოვი (მახაჩყალა), 2. ნ. ჟურული (მოსკოვი), 3. გ. საღარაძე (თბილისი).

საშუალო. 1. ა. ცხოვრებოვი (თბილისი), 2. ა. მოროზოვი (მოსკოვი), 3. გ. მუსაევი (მახაჩყალა).

ქვემძიმე. 1. ვ. გულიუტკინი (კიევი), 2. შ. ლომიძე (თბილისი), 3. ბ. ბარუკაევი (ტამბოვი).

მძიმე. 1. ა. მედვედი (მინსკი), 2. გ. ანდიევი (ორჯონიკიძე), 3. ე. მაქსიმოვი (მოსკოვი).



ზ. შეყრილაძე.



ა. ცხოვრებოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 84 (3568) 30

1968 წ. აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

კაუულ კერესის ბრწყინვალე წარმატება

ბამბერგი, 29 აპრილი. ამ დასავლეთგერმანული ქალაქის საჭადრაკო კლუბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი 52 წლის საბჭოთა დიდოსტატის პაულ კერესის ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა. კერესმა დიდი შემოქმედებითი აღმავლობით, წაუგებლად ჩაატარა მთელი შეჯიბრება და 15 შესაძლებლიდან 12 ქულა დააგროვა. მან ჯერ კიდევ სტარტზე იგდო ხელთ ლიდერობა და ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაიანალდა I ადგილი. საბოლოოდ კერესმა 2 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს, რაც ასეთი მაღალი დონის შეჯიბრებებში იშვიათად ხდება.

II-III ადგილები 10-10 ქულით გაიყვეს მსოფლიოს ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა და დასავლეთგერმანელმა დიდოსტატმა ლ. შმიდმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმა სხვა წარმომადგენელმა — ვ. უნციკერმა და რ. ტეშნერმა 9,5-9,5 ქულა დააგროვეს. 9 ქულით VI ადგილზეა იუგოსლავიელი ბ. ივკოვი.



ᲘᲚᲔᲪ ᲧᲐᲘᲛᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 29 ᲐᲠᲘᲚᲘ. მხოლოდ 17 სვლა გაგრძელდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის — მ. ტალ — ს. გლიგორიჩის ორთაბრძოლის IV პარტია. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ანგარიში გახდა 2,5:1,5 იუგოსლავიელი დიდოსტატის სასარგებლოდ. 2 მაისს შედგება V პარტია.

პოლონეთში გამოიცა პლაკატი მსოფლიოს მომავალი XXI ტრადიციული ველორბოლისთვის, რომელიც ყოველწლიურად ტარდება გაზეთების — „ნოიეს დოიჩლანდის", „რუდე პრავოს" და „ტრიბუნა ლიუდუს" თაოსნობით. ველორბოლა 9 მაისს აიღებს სტარტს ბერლინში და 20 მაისს დამთავრდება ვარშავაში. ფოტო ცაფ-საკდესისა.

რეკორდები

ᲡᲝᲩᲘ, 29 აპრილი. მძლეოსანთა ახალგაზრდული გუნდების საკავშირო შეჯიბრებაში უკონკურსოდ იასპარეზა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. კლიმმა (მინსკის ასკ). ურალ ტყორცნაში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატის გამოსვლა ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა: მან 72,36 მეტრზე გაისროლა ეს იარაღი, რაც 48 სმ-ით აღემატება მისსავე ამასწინანდელ საკავშირო რეკორდს და მეორე შედეგია საერთოდ მძლეოსნობის ისტორიაში.

მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ნ. როზოვამ („ბურევესტნიკი") 1500 მეტრზე რბენაში ახალგაზრდული საკავშირო მიღწევა 4 წუთსა და 34,2 წამამდე დაიყვანა.

400 მეტრზე რბენა კარგი დროით (55,8) მოიგო ფრუნზელმა ვ. ჩიჩიაევამ („ბურევესტნიკი"). ქალიშვილებში სიმაღლეზე ხტომაში იმარჯვეს სვერდლოვსკელმა ე. ზახაროვამ და კიეველმა ტ. სმირნოვამ — 168 სმ.

მსოფლიო რეკორდი დაამყარა უკონკურსოდ მოასპარეზე ლენინგრადელმა ნ. ჩიფოვამ: მან 18,67 მეტრზე ჭრა ბირთვი და 8 სანტიმეტრით გააუმჯობესა თ. პრესის ძველი მიღწევა.

ᲑᲝᲜᲜᲘ, 29 აპრილი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოცურავეთა ღია ჩემპიონატში 19 სახელმწიფოს 200-მდე სტუმარი მონაწილეობდა. მაღალი შედეგებით აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლებიც. 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (შეჯიბრება 25-მეტრიან აუზში ტარდება) მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა მოსკოველმა ა. დუნაევმა — 4.38,2.

ამ დისტანციაზე ქალებში ყველას აჯობა პერმელმა ლ. ზახაროვამ — 5.24,2.

1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კარგი შედეგით (16.56,6) გაიმარჯვა ბ. ფასნაჰტმა (გფრ). II ადგილზეა მოსკოველი ვ. ბურე. ეს ჭაბუკი გამარჯვებულს 2,1 წამით ჩამორჩა.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში ტოლი არ ჰყავდა შვეიცის წარმომადგენელს ლ. პეტერსენს — 10.02,0.

მეორე გამარჯვება და ისევ სარეკორდო შედეგით იზეიმა დუნაევმა: 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან აჩვენა 2.12,4. ამ დისტანციაზე ბრასით ცურვაში საუკეთესო იყო ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი გ. პროზუმენშჩიკოვა (2.40,3), ხოლო ბატერფლაით— ხარკოველი ტ. დევიატოვა (2.27,4).

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში გაიმარჯვა იუგოსლავიელმა ბ. სეგრტმა (59,4), II ადგილი კი დაიკავა იალტელმა ა. რუდენკომ — 1.01,0. ორივე შედეგი ეროვნული რეკორდებია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ

ᲙᲘᲠᲝᲕᲐᲑᲐᲓᲘ, 28 აპრილი. ადგილობრივმა სპორტის მოყვარულებმა ჩინებული საჩუქარი მიიღეს: გუშინ დამთავრდა სტადიონის მშენებლობა, რომელსაც აქვს ორსართულიანი პანსიონატი სპორტსმენებისთვის და ტრიბუნები 25 ათასი მაყურებლისთვის.

ახალი კომპლექსი ქალაქის ყველა საწარმოსა და სასწავლებლის კომკავშირელთა ხელით აიგო.

ახლა ამ აზერბაიჯანული ქალაქის ახალგაზრდობა თავისი ძალებით აშენებს 20 სპორტულ ნაგებობას — სტადიონებს, აუზებს, დარბაზებს. ყველა ბაზა კომკავშირის 50 წლისთავისთვის იქნება მზად.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

შუა აზიასა და ყაზახეთში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარების, სპორტული ოსტატობის ამაღლების, პერსპექტიული სპორტსმენი ქალების გამოვლენის მიზნით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს წლეულს ჩაატარონ ამ რესპუბლიკების ქალთა I სპარტაკიადა. სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები დუშანბეში გაიმართება. აქ გამოვლინდება უძლიერესი გუნდები კალამბურთში, ფრენბურთში, სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლასა და ველოსპორტში.

შეიქმნა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბ. ჯარიმოვას ხელმძღვანელობით. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ახალი პოტენციალის წინაშე

საქართველოს ფიზკულტურულ მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრების რეზოლუცია

ბოლო წლებში რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. ამის შედეგად საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში V ადგილი დაიკავა და დაისაკუთრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური და სამახსოვრო პრიზები.

მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებისთვის საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია ზედიზედ მერვედ დაჯილდოდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, რომელიც 1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავთან დაკავშირებით სამუდამოდ გადაეცა ჩვენს რესპუბლიკას.

მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონე ჯერ კიდევ სავსებით ვერ უპასუხებს დღევანდელი დღის გაზრდილ მოთხოვნებს. ახმეტის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისის, შუახევის, გაგრის, ზნაურის, წალენჯიხისა და სხვა რაიონების ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლებელსა და დაწესებულებაში ფიზკულტურა და სპორტი მასობრივად განვითარებული არ არის, რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში ფიზკულტურულ მუშაობას, მოსწავლეთა და სტუდენტთა სპორტული ოსტატობის გეგმაზომიერ ამაღლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ფიზიკური კულტურის მასობრიობის ზრდის დაბაბრკოლებელი მიზეზია ბაზებისა და ინვენტარის უკმარობა. შესაბამისი საწარმოები და საკავშირო ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ სპორტული ორგანიზაციებისა და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

ბევრი სპორტბაზა ჯერ კიდევ ვერ იქცა მოსახლეობაში ფიზკულტურული მუშაობის ყერად. მაგალითად, თბილისის „ლოკომოტივის“, მაუდ-კამვოლის კომბინატის, 26 კომისრის რაიონის, აგრეთვე, სოხუმის, ცხინვალის, ქობულეთის, სამტრედიის, ზესტაფონის, თელავისა და სხვა ქალაქების სტადიონები ხშირად ცარიელია. ცუდადაა მოედნებისა და სპორტული ბაქნების მშენებლობის საქმე, განსაკუთრებით, სოფლის სკოლებთან და საცხოვრებელ ადგილებში.

აღნიშნული ხარვეზები მნიშვნელოვანწილად აიხსნება ფიზკულტურული მოძრაობის არასათანადო დონით. როგორც ჩანს, ფიზკულტურული კადრების, განსაკუთრებით, მწვრთნელებისა და მასწავლებლების შერჩევას, აქტივის აღზრდას მუდამ როდი ექცევა სათანადო ყურადღება.

აქტივის კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის წარმატებით განვითარება შეუძლებელია, თუ მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა ფიზკულტურული ორგანიზაციების, სპორტკავშირის საბჭოების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების და უწყებების მუშაობა, თუ ეფექტურად არ იქნა გამოყენებული ამ საქმისთვის განკუთვნილი სახსრები და არსებული მატერიალური ბაზა.

მხურვალედ იწონებს რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას, მიიჩნევს რა მას უმთავრეს სახელმძღვანელოდ თავის შემდგომ მუშაობაში, რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა აქტივის კრება.

ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, სპორტკავშირის საბჭოებს, ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, უწყებებს უმთავრეს ამოცანად უსახავს ფიზკულტურისა და სპორტის, როგორც ყოველმხრივ სრულყოფილი, ჰარმონიულად განვითარებული საბჭოთა ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალების, შემდგომ მასობრივ განვითარებას.

კრება ადგენს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, პროფკავშირებისა და კომკავშირის, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობითა და აქტიური მხარდაჭერით მიაღწიონ ფიზკულტურისა და სპორტის მტკიცედ დანერგვას საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ყოფაში, რაც ხელს შეუწყობს მათი შრომის რეჟიმის, სწავლისა და დასვენების ორგანიზაციას, განსაკუთრებით, მშრომელთა ბუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში.

ამ მიზნით, სპორტკავშირებისა და ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების საბჭოებმა, საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უახლოეს ხანში თვითეული რაიონისთვის, ქალაქისთვის, ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკებისთვის დაამუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სკოლაში, სპეციალურ საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებელში, დაწესებულებაში.

ამ ღონისძიებათა დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას:

ფიზკულტურახა და სპორტში სისტემატური მეცადინეობის ორგანიზაცია, რეგულარული მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, კომპლექსების — მშთ და „მზად ვარ საშრომლოს დასაცავად“ მომზადება და ჩაბარება;

საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა ფიზკულტურული ჯგუფებისა და სექციების შექმნა ყველა სპორტულ ბაზაზე, აგრეთვე, კულტურის სახლებსა და საცხოვრებელ ადგილებში;

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემის დამუშავება საწარმოებში შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების, დაავადებისა და საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების შემცირების მიზნით;

საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა ყველა საამქროსა და განყოფილებაში; საცხოვრებელ ადგილებსა და დასვენების ქალაქგარე ზონებში შესასრულებელი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დამუშავება იმ საწარმოებისთვის, სადაც წარმოების პირობების გამო შრომის პროცესში ტანვარჯიშის ჩართვა არ შეიძლება;

აუცილებელი ბაზის შექმნა — არსებულ ნაგებობათა კეთილმოწყობა და აღჭურვა, ახალი სპორტული და ტურისტული ბაზების, ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების, მეთევზისა და მონადირის სახლების მშენებლობა, მათ შორის, მშრომელთა საცხოვრებელ და დასვენების ადგილებში; სპორტული საქონლით ვაჭრობის გაუმჯობესება;

უშუალოდ ფიზკულტურის კოლექტივებში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების, აგრეთვე, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ ასპარეზობათა სისტემის სრულყოფა, ამ ღონისძიებებში ფიზკულტურელთა და ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმა მათი მომზადების დონის, ასაკობრივ და პროფესიულ თავისებურებათა გათვალისწინებით;

ფიზკულტურული კადრების — საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მსაჯების, ფიზკულტურის ორგანიზატორებისა და ფიზიკური კულტურის კოლექტივების თავმჯდომარეთა მომზადება და გადამზადება, სისტემატური მუშაობის ორგანიზაცია სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელების, ფიზკულტურის მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

კრება ადგენს: უფრო ფართოდ გაიშალოს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში, ამ საქმეში ფართოდ ჩაებან მშრომელები და მათი ოჯახის წევრები, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ფიზკულტურასა და სპორტში ბავშვების, მოზარდებისა და ქალების მიზიდვას.

განვითარდეს და პოპულარიზაცია გაეწიოს დამოუკიდებელი, ინდივიდუალური ფიზკულტურული მეცადინეობის სხვადასხვა სახეს, როგორიცაა მაგალითად, დილის ჰიგიენური ტანვარჯიში, თხილამურებით სრიალი, ველოსიპედითა და ნავით სეირნობა, ტურისტული ლაშქრობა და მოგზაურობა, გასეირნება, სპორტული და ხალხური თამაშობა, აგრეთვე, სხვა ფიზიკური ვარჯიშები, როგორიც ეფექტური გამოყენება შეუძლია და უნდა გამოიყენოს კიდეც მოსახლეობამ, განსაკუთრებით, ოჯახებში;

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, კომუნალური და საბინაო მეურნეობის ორგანიზაციებთან ერთად განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებანი ამ მუშაობის ხელმძღვანელობისათვის, შეიქმნას ახალი და კეთილმოეწყოს არსებული სპორტული ბაზები და მოედნები, უზრუნველყოფილ იქნას სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა მასობრივი საბინაო მშენებლობის ადგილებში დამტკიცებული ნორმატივებისა და პროექტების შესაბამისად, დაწესდეს გამუდმებული კონტროლი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ მითითების განხორციელებაზე, რომლის თანახმადაც სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა მიკრორაიონებსა და საცხოვრებელ მასივებში საცხოვრებელი სახლების ჩაბარებასთან ერთად უნდა ხდებოდეს.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და დოსაფის ერთობლივი მუშაობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისა და სპორტის გამოყენებითი სახეობების განვითარების მიზნით; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წვევამდელი და ახალგაწვეული ახალგაზრდობის აღზრდას, მუშაობის გაუმჯობესებას კომპლექსის — „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ — მომზადებისა და ჩაბარებისთვის;

სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებმა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად იზრუნონ ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; ახალ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობასთან ერთად, პირველ ყოვლისა, სკოლებში, მიღწეულ იქნას ყველა არსებული ბაზის ეფექტური გამოყენება; სპორტკავშირის საბჭოებმა მშრომელთა დეპუტატების ორგანიზაციებთან ერთად განიხილონ მშენებლობათა და არსებულ ნაგებობათა გამოყენების საკითხი იმ მიზნით, რომ ეს ბაზები ყოველ რაიონსა და მიკრორაიონში წარმოადგენდნენ ფიზკულტურული და გამაგანსაღებელი მუშაობის ცენტრებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას ეკუთვნიან.

ფიზკულტურული კადრების—მასწავლებლების, მწვრთნელებისა და სხვა სპეციალისტების, აგრეთვე, საზოგადოებრივი აქტივის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი უბანია. ამასთან დაკავშირებით, აქტივის კრება სპორტკავშირისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს ავალებს დასახონ სათანადო ღონისძიებანი კადრებთან მუშაობისათვის და გაითვალისწინონ:

პედაგოგიურ ინსტიტუტებში მცირეკომპლექსური სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებელთა მომზადების ორგანიზაცია (მეორე სპეციალობის სწავლების სახით);

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში ფიზიკური აღზრდის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნა;

მოკლევადიანი კურსების დაარსება ოლქებსა და ზონებში, საზოგადოებრივ მწვრთნელთა მომზადება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლაში.

აქტივის კრება იწონებს სპორტკავშირისა და ნებაყოფლობითი, აგრეთვე, საუწყებო სპორტული ორგანიზაციების მიერ რესპუბლიკურ და საოლქო მოკლევადიან კურსებსა და სემინარებზე, ფიზკულტურის ინსტიტუტში კადრების მომზადებისა და გადამზადებისთვის გაწეულ მუშაობას.

სპორტკავშირისა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოები ვალდებულია დაუწესონ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სტუდენტთა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის.

აუცილებელია უახლოეს ხანში მიღწეულ იქნას მოსწავლეთა და სტუდენტთა ფართო მასების ჩაბმა სპორტულ სექციებში, შეჯიბრებებში, ტურისტულ ლაშქრობებში, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის შესაძლებლობათა გაფართოება, მასობრივ-სპორტული, გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისა და სასწავლო მეცადინეობის განხილვა, როგორც ერთიანი პროცესისა; მაღალი თანრიგის სპორტსმენთა — მძლეოსნების, ტანმოვარჯიშეების, მოცურავეების, მოფარიკავეების, სპორტული თამაშებისა და ველოსპორტის წარმომადგენლების მომზადება უშუალოდ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში; უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, მათი როლის ამაღლება ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში;

სპორტკავშირისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საბჭოებმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ცეკავშირის ორგანიზაციასთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მნიშვნელოვანი გაძლიერება სოფლის მოსახლეობაში.

ამ მიზნით:

ყოველ ფიზკულტურულ კოლექტივში შეიქმნას გუნდები და სპორტული სექციები სოფლის ახალგაზრდობისათვის მასობრივ და ხელმისაწვდომ, მათ შორის, ხალხურ და ეროვნულ სახეობებში.

თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივში უზრუნველყოფილ იქნას სპორტულ შეჯიბრებათა და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა რეგულარულად ჩატარება, ამ ღონისძიებებში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩაბმა;

გაუმჯობესდეს საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა და სპორტის სხვადასხვა სახეობის მსაჯთა მომზადება იმ მიზნით, რომ 10-12 ფიზკულტურელზე ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი მოდიოდეს;

დამუშავდეს და განხორციელდეს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონულ ცენტრებში სპორტულ ნაგებობათა, ბაზებისა და მოედნების მშენებლობის გეგმები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, აღმასრულებელი კომიტეტების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციის ახიგნობათა გათვალისწინებით; განხორციელდეს კონტროლი, რომ სოფლის კლუბების მშენებლობისას, როგორც წესი, სპორტული დარბაზები და მოედნებიც იქნას გათვალისწინებული;

დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის, საამისოდ აუცილებელი პირობების შექმნისათვის, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ქსელის გაფართოებისათვის;

დაეკალოთ ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სისტემატური და ქმედითი საშეფო დახმარება გაუწიონ სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებს, პირველ ყოვლისა, სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებასა და კადრების მომზადებაში.

სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში საუბრებისა და საჩვენებელი გამოსვლების ჩასატარებლად, სასწავლო-სპორტულ მუშაობაში და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში პრაქტიკული დახმარების გასაწევად სისტემატურად გაიგზავნონ ნაკრები გუნდების წევრები, სპორტის ოსტატები, სპეციალისტები და მწვრთნელები.

აქტივის კრება რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს მასობრივი სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლებისთვის ბრძოლას და ამ საფუძველზე საკავშირო და მსოფლიო მნიშვნელობის შედეგების მოპოვებას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში შემავალ ყველა სახეობაში.

სპორტკავშირის საბჭოებმა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებთან და უწყებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად დაამუშაონ და განახორციელონ ბავშვთა და მოზარდთა ახალი სპეციალიზებული სპორტული სკოლების ორგანიზაციის გეგმა, შექმნან ყველა პირობა სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების აღზრდისთვის.

აუცილებელია დაისახოს ღონისძიებანი სადირექტივო ორგანოების იმ მითითებათა განუხრელად და დროულად განხორციელებისათვის, რომ ყველა სპორტული ორგანიზაცია და უწყება ვალდებულია დანერგოს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისა და ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი სპორტის ყველა სახეობა.

ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში დემოკრატიული საფუძვლების გაძლიერებისათვის აუცილებელია ამაღლდეს საზოგადოებრივი ორგანოების, პირველ ყოვლისა, სპორტის სხვადასხვა სახეობის ფედერაციების როლი და ავტორიტეტი, რეგულარულად ტარდებოდეს ფიზკულტურელთა კრებები, საბჭოების პლენუმები, კოლეგიტურად წყდებოდეს საორგანიზაციო საკითხები, საქმიანად განიხილებოდეს კრიტიკული შენიშვნები, მკაცრი ბრძოლა გამოეცხადოს ნაკლოვანებებს, ბიუროკრატიზმის, კრიტიკის ჩახშობის ფაქტებს;

აუცილებელია გამუდმებული ბრძოლა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის, ხელმძღვანელ პოსტებზე ინიციატივის მქონე ახალგაზრდა სპეციალისტების თამამად დაწინაურება, გამუდმებული ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მწვრთნელთა როლისა და ავტორიტეტის ზრდისათვის.

ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობაში კანონად უნდა იქცეს: მუშაკთა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, გადაწყვეტილებათა განხორციელების სისტემატური კონტროლი და შემოწმება, ყოველდღიური კავშირი მასებთან და აქტივთან.

ახალი ხუთწლედის მესამე წლის წარმატებით დამთავრების მიზნით რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები იღებენ შემდეგ ვალდებულებებს:

ფიზკულტურელთა საერთო რიცხვს აიყვანენ რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 25 პროცენტამდე, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვს გაზრდიან 60 ათასი კაცით;

საწარმოო ტანვარჯიშში, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ სექციებსა და ჯანმრთელობის ჯგუფებში დამატებით ჩაებმენ 10 ათასზე მეტ კაცს;

ფიზკულტურის საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა რიცხვს გაზრდიან 100 ათას კაცამდე და ამით მიაღწევენ, რომ საშუალოდ ყოველ 11 ფიზკულტურელზე ერთი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი მოდიოდეს;

ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 209-სა, მოამზადებენ 215 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატსა და სსრ კავშირის სპორტის ოსტატს.

მიაღწევენ, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და თბილისის 77-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივებს მიენიჭოთ სპორტული კლუბების საპატიო წოდება.

აქტივის კრება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პირობას აძლევს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები, ფიზკულტურული მოძრაობის მუშაკები მთელ თავის ძალას, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეს და მათს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

კრება გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების აქტიური დახმარებით პროფკავშირთან და კომკავშირთან ერთად მიაღწევენ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ახალ აღმავლობას და საქართველოს სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომ ზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

საკავშირო ჩემპიონატის განვლილ ტურში, 28 აპრილს, ყველაზე პოპულარული იყო ანგარიში 1:0: 9 შეხვედრიდან ასე დამთავრდა 5:

პირველი მარცხი მიაყენა გათამაშების ლიდერს — მოსკოვის „ტორპედოს“ — „შახტიორმა“. ერთადერთი გოლი ტორპედოელთა კარში გაიტანა ევსეევკომ. მორიგი დამარცხება განიცადა „კირატმა“ (0:1), რომელიც შინ ეთამაშებოდა კიევის „დინამოს“. გოლის ავტორი იყო პარკუიანი.

„კრილია სოვეტოვისა“ და „ზარიას“ მატჩის ბედი გადაწყვიტა „ზარიას“ კარში დანიშნულმა პენალტმა. იგი ზუსტად გამოიყენა კაზაკოვმა — 1:0.

კიროვაბადის „დინამოს“ მატჩში „არარატთან“ გაიმარჯვეს კიროვაბადელებმა — 1:0 (შურიკოვი).

მოსკოვის „დინამო“ იგებდა თამაშს ლენინგრადში „ზენიტთან“, მაგრამ ავრუცკის მიერ გატანილი გოლის გაქვითვა შეძლო უნანოვმა — 1:1.

„პახტაკორი“ — „ჩერნომორეცი“ 1:1. აქ დაწინაურდნენ სტუმრები (მიროშინი), ხოლო საპასუხო გოლის ავტორი იყო ბექთაშევი.

ფრედ (0:0) დამთავრდა მატჩი მინსკში ადგილობრივ „დინამოსა“ და ცსკა-ს შორის.

„ლოკომოტივისა“ და როსტოვის არმიელთა გუნდის შეხვედრაში, რომელიც შაბათს შედგა მოსკოვში, გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა — 4:1. ბურთები გაიტანეს: ატამალიანმა, ორეშნიკოვმა, კოზმა (2). ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო როსტოველი ბორდოვსკიხი (პენალტი).

უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერებზე. ესენი არიან „კრილია სოვეტოვის“ კაპიტანი ბ. კაზაკოვი და სპარტაკელი ვ. იანკინი. თვითეული მათგანის ანგარიშზეა 4 გოლი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲝᲚᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ

III ᲯᲒᲤᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

27 აპრილს შედგა მორიგი ტურის მატჩები: „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:0, „თერგი“ (გროზნო) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 2:0, „ვოლგა“ (გორკი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 0:2, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 2:0, „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:1, „სტროიტელი“ (უფა) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 1:0.

სსრ კავშირის პირველობა

დინამოელებმა ცუდად ითამაშეს

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 28 აპრილი.

„ნეფტჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (თბილისი) 1:0 (1:0).

„ᲜᲔᲤᲢᲩᲘ“: კოსენკოვი, ბოგდანოვი, ბრუხტი, სიომინი, ბაბაევი, სემიგლაზოვი, ტროფიმოვი, ზეინალოვი, ალი-ზადე (სტეკლონიკოვი), ტუაევი, სმოლნიკოვი.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, კუტივაძე (ილიადი), მეტრეველი, გავაშელი, ნოდია (ქიქავა).

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:0 „დინამოს“ სასარგებლოდ.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის. ბაქოელებმა კარგად აღებული სტარტის შემდეგ ბოლო ორ თამაშში მარცხი იწვნიეს და შინ თბილისელებთან შეხვედრა მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. რაც შეეხება სტუმრებს, როსტოველებთან და ქუთაისის „ტორპედოსთან“ მოგებული ორი მატჩის შემდეგ მათ ლიდერთა ჯგუფში მოხვედრის რეალური პერსპექტივა შეექმნათ და მოსალოდნელი იყო, რომ ისინი სრული ძალით იბრძოლებდნენ სატურნირო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ამას გარდა, დინამოელებს ყოველნაირად უნდა გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ „ნეფტჩის“ აკლდა თავისი მთავარი შემტევი ძალა, ცენტრალური თავდასხმის ტანდემი: ბახიშევსკი — მარკაროვი.

მაგრამ სტუმრებმა ვერ აჩვენეს ის, რასაც მისგან მოელოდა მაყურებელი. გუნდი არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას, უნიათოდ თამაშობდა და გამარჯვებისადმი სწრაფვას არც კი ამჟღავნებდა. თამაშის მთელი სიმძიმე თითქოს „ნეფტჩის“ დაცვასა და „დინამოს“ თავდასხმას უნდა გადაეტანათ, თითქოს აქ უნდა გადაწყვეტილიყო მატჩის ბედი, მაგრამ თბილისელებმა სწორედ თავდასხმის ხაზში გამოიჩინეს ყოველად გაუმართლებელი, საოცარი ინერტულობა. შეხვედრის დაწყებიდან უკვე 10-15 წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ „დინამოს“ შეტევა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა მასპინძელთათვის, რომ „ნეფტჩი“ იოლად ახერხებდა მოპირდაპირე თავდამსხმელებთან გამკლავებას, ამიტომ ინიციატივა სწორედ მასპინძლებმა გამოიჩინეს და სამუშაო, პირიქით, სტუმრების მცველებს გაუჭირდათ.

მაგრამ ვერც დინამოელთა დაცვამ ითამაშა ხელირასად. ყოველ შემთხვევაში, გაშვებული გოლი მთლიანად მის შეცდომას უნდა მიეწეროს. ტაიმის დიმიტრიევის ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა შეტევაზე „ნეფტჩი“ იმყოფებოდა. თბილისელთა მცველებმა ვერაფერით ვერ მოიცილეს ბურთი, ვერ გაიყვანეს იგი საჯარიმო მოედანს გარეთ და საბოლოოდ წინ გამოსულ სემიგლაზოვს შეატოვეს. 1:0.

გარდატეხა მოსალოდნელი იყო მეორე ტაიმში, მაგრამ აქაც არ გამართლდა ვარაუდი. პირიქით, „ნეფტჩი“ კიდევ უკეთ, კიდევ უფრო ძლიერად ათამაშდა და სტუმრებმა, მიუხედავად გუნდში მომდგარი ცვლილებებისა, ვერაფერი შეძლეს. ისინი კვლავ არაორგანიზებულად, სუსტად თამაშობდნენ, თუმცა, ქიქავას შეეძლო გამოეყენებინა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, როცა იგი მეკარის პირისპირ დარჩა მეტრეველის გადაცემის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მსაჯმა არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევა ვ. ბრუხტი.

თბილისელებმა მატჩი გააპროტესტეს.

Მ. ᲜᲘᲙᲘᲚᲔᲕᲘᲩᲘ.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 30 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	6	3	2	1	9—5	8
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	5	3	2	0	5—2	8
„დინამო“ (კიევი)	6	2	4	0	5—2	8
„ᲜᲔᲤᲢᲩᲘ“ (ბაქო)	6	3	1	2	6—2	7
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ (მოსკოვი)	5	3	1	1	6—3	7
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	5	2	3	0	6—4	7
„დინამო“ (მინსკი)	5	2	2	1	4—1	6
„ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“ (ლენინგრადი)	5	1	4	0	5—3	6
ცსკა	5	1	4	0	4—2	6
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲔᲪᲘ“ (ოდესა)	5	1	3	1	6—6	5
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი)	5	2	1	2	3—3	5
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მოსკოვი)	6	1	3	2	4—5	5
„ᲨᲐᲰᲢᲘᲝᲠᲘ“ (დონეცკი)	5	1	3	1	3—4	5
„ᲞᲐᲰᲢᲐᲙᲝᲠᲘ“ (ტაშკენტი)	6	0	5	1	5—7	5
„ᲖᲐᲠᲘᲐ“ (ლუგანსკი)	6	1	3	2	2—6	5
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ (ერევანი)	5	1	2	2	5—5	4
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (კიროვაბადი)	6	1	2	3	2—6	4
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ქუთაისი)	6	1	1	4	5—9	3
ᲐᲮᲪᲐ (როსტოვი)	5	0	3	2	6—10	3
„ᲙᲐᲘᲠᲐᲢᲘ“ (ალმა-ათა)	5	0	1	4	0—6	1

საინტერესო შეხვედრა

მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1 (2:1).

„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“: მასლაჩენკო, პეტროვი, გრებნევი, კრუტიკოვი, მიხაილინი, ამბარცუმიანი, იანკინი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, კისელიოვი, სილაგაძე (ევსევენტიევი).

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა, ერქომაიშვილი (ხერხაძე), ჭოლაძე, ვეკუა, ხაფალია, ასიტაშვილი.

მსაჯი ა. კიშკო (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

მაყურებელი, საერთოდ, ნაკლებ ინტერესს ინენს აუტსაიდერთა გამოსვლების მიმართ. ქუთაისის „ტორპედო“ ახლა აუტსაიდერთა შორის იმყოფება, მაგრამ ეს გუნდი უყვართ მოსკოველ გულშემატკივრებს და, როგორც წესი, ესწრებიან მის თამაშს.

მატჩი, მართლაც, საინტერესო გამოდგა, განსაკუთრებით, მისი დასაწყისი. ქუთაისელებმა თავიდანვე სწრაფად შეუტიეს მეტოქეს, სახიფათო მომენტი შექმნეს და ჩხაიძის დარტყმის შემდეგ ანგარიშიც გაიხსნა.

ასეთ დებიუტს წარმატება უნდა მოეტანა ტორპედოელთათვის, მაგრამ „სპარტაკმა“ სულ მალე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება: რამდენიმე წუთის შემდეგ იანკინმა გაიტანა საპასუხო გოლი.

ტაიმის ბოლოს ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა იმავე იანკინმა მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

ასევე საინტერესოდ, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც, მაგრამ ტორპედოელებმა ვერ შეძლეს თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის.

Კ. ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘ.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„Ბ“ ᲯᲒᲤᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

გაიმართა მორიგი შეხვედრები რსფსრ-ს III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვაცყობინებენ:

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲜ...

ძალიან ცუდად დაიწყო წლევანდელი გათამაშება სოხუმის „დინამომ“. გუნდმა გასვლაზე ზედიზედ 3 მატჩი წააგო, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ დინამოელები შეეცდებოდნენ შინ მაინც გამოეწორებინათ მდგომარეობა.

მაგრამ ასე არ მოხდა. სოხუმელებმა განვლილ ტურში თავიანთ მინდორზე მიიღეს პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელი“ და კვლავ მეტისმეტად სუსტად ითამაშეს.

ანგარიში გაიხსნა პირველ ტაიმში სოხუმელთა მეკარე ზარატიადის შეცდომის შედეგად. შესვენების შემდეგ მეკარე კვლავ შეცდა და მერემეტიევმა მეორე ბურთი გაგზავნა მასპინძელთა კარში — 2:0.

Შ. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲓᲐᲜ...

ადგილობრივი „ენგურის“ შეხვედრა მოზდოკის „ირისთონთან“ საკმაოდ უხალისოდ დაიწყო. თითქმის ნახევარი საათი გავიდა ისე, რომ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა არც ერთ კართან არ შექმნილა. მოგვიანებით, უკვე ტაიმის დასასრულს, „ენგურის“ თავდამსხმელებმა რამდენიმე კარგი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ ბაბაევმა, აბრალავამ, როგავამ და კემულარიამ ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი მომენტები.

შესვენების შემდეგ ბრძოლა გამწვავდა. მე-60 წუთზე სტუმრების მეკარე რევაზოვმა ვერ შეძლო როგავას მიერ შორიდან დარტყმული ბურთის აღება და გაუშვა იგი კარში — 1:0. დარჩენილ დროში „ირისთონს“ საგრძნობი ტერიტორიული უპარატესობა ჰქონდა, მაგრამ ზუგდიდელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება, ამასთან, აღსანიშნავია მეკარე ბურჭულაძის კარგი თამაში.

Ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲘᲓᲐᲜ...

განვლილ ტურში ჭიათურის „მაღაროელი“ ოქტემბერიანის „სვანს“ მასპინძლობდა.

მატჩი მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში და, მიუხედავად ორივე კართან შექმნილი რამდენიმე კრიტიკული მომენტისა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ბაქოელი მსაჯის ვ. აკოფოვის ერთობ არაკეთილფიცილი მსაჯობას. მან მთელი რიგი სერიოზული შეცდომები დაუშვა, რითაც სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა როგორც მაყურებლების, ისევე ორივე გუნდის მოთამაშეთა მხრივ.

Თ. ᲨᲝᲣᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ...

„არაზი“ (ნახიჩევანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:1, „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „დილა“ (გორი) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „ოროჟაი“ (დერბენტი) 1:1, „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „შუქურა“ (ჭობულეთი) 2:0; „ოროჟაი“ (კრიმსკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1.

„Ე“ ᲯᲒᲤᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

III ᲯᲒᲤᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

„Ა“ ᲯᲒᲤᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲟᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲯᲠᲝ ᲨᲔᲛᲯᲠᲘᲡ 6 ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲘᲗ: Ბ. ᲒᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, Თ. ᲚᲝᲛᲐᲘᲐ — 5,5-5,5 ᲥᲣᲚᲐ, რ. ᲯᲘᲜᲯᲘᲰᲐᲨᲕᲘᲚᲘ — 4,5 (1), Შ. ᲛᲘᲥᲐᲫᲔ, Გ. ᲙᲐᲚᲐᲢᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲒᲝᲪᲣᲩᲐᲕᲐ — 4,5-4,5.

VI ტური. ლომაია — თ. დეკანოზიშვილი 1:0, ბოკუჩავა — ა. წერეთელი 1:0, გურგენიძე — მ. არჩვაძე (სამტრედია) 1:0, მიქაძე — კალატოზიშვილი 0,5:0,5, ე. უბილავა — ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი) 1:0, გ. მაჭავარიანი — შ. თოთლაძე (გორი) 1:0.

მოგებაზე თამაშის სტრატეგიამ ლომაიასა და ბოკუჩავას ორ-ორი ზედმეტი პაიკი მოუტანა. ეს უცილობელი უპირატესობაა ენდშპილში. ამიტომ დეკანოზიშვილმა და წერეთელმა დაბოლოებაში ბრძოლა აღარ განაგრძეს.

როცა გურგენიძის ეტლი არჩვაძის პოზიციაში შეიჭრა, მისი ჩანაფიქრის სიცხადე ნათელი გახდა. სამტრედიელი მოჭადრაკე დანებდა მხედრის გარდუვალი დაკარგვის გამო.

„ხელჩართული“ ბრძოლა გაჩაღდა ლიდერობის — ჯინჯიხაშვილისა და გიორგაძის შეხვედრაში. პარტია რთული დებიუტით — ინგლისური დაცვით დაიწყო. ცენტრში პაიკების შეტაკება ფიგურების ჭიდილმა შეცვალა. პარტია არ დამთავრებულა — მწვავე პოზიციაში გადაიდო. დაუმთავრებელი დარჩა გ. მუკნიაშვილი (გორი) — ს. მეგრელიშვილის შეხვედრაც.

პირველი გამარჯვება იზეიმეს უბილავამ და მაჭავარიანმა.

Თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ

სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ამ დღეებში ჩატარდა მოსკოვისა და პრაღის მოჭადრაკეთა გუნდების ორწრიანი ამხანაგური მატჩი (ამ შეჯიბრების ტრადიციას საფუძველი 1946 წელს ჩაეყარა, მეორე შეხვედრა კი 1966 წელს გაიმართა).

თვითეულ გუნდში 11 სპორტსმენი იყო. მოსკოვის ნაკრებში თამაშობდნენ: დიდოსტატები დ. ბრონშტეინი, ე. ვასიუკოვი, ვ. სიმაგინი, რ. ხოლმოვი, ლ. შამკოვიჩი, ვ. ლიბერზონი, ოსტატები: მოსკოვის ჩემპიონი ა. ვოლოვიჩი, ი. ბალაშოვი, ი. რაზუვაევი და საერთაშორისო ოსტატი ა. კუშნირი; პრაღისაში — დიდოსტატები ვ. ჰორტი, ლ. კავალეკი, საერთაშორისო ოსტატი ი. იანსა, ოსტატები ი. სმეიკალი, ი. მარშალეკი, ლ. ალბერტი, ი. პშიბლა, ე. ნოვაკი, ს. კუპკა, მ. იანატა და ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი ი. მალიპეტროვა.

მატჩი—მოსკოველებმა მოიგეს — 13,5:8,5 (პირველი წრის შეხვედრის ანგარიში 6,5:4,5, მეორესი — 7:4).

ᲠᲑᲘᲚᲘ ᲙᲐᲖᲘᲜᲝ

● ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲘ, 28 აპრილი. წყალში მხტომელთა აქ მიმდინარე საკავშირო შეჯიბრებაში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე ქალები ამჯერად ტრამპლინიდან ხტომაში ასპარეზობდნენ, ხოლო ვაჟები — კოშკიდან ხტომაში. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ: გაზეთის პრიზის მარშანდელი მფლობელი თ. პოგოჟევა და ა. ბელოუსოვი. ვაჟებში II ადგილზეა ი. მელნიკოვი, რომელმაც გაუსწრო ისეთ ცნობილ მხტომელებს, როგორიც არიან ს. კუშნერკინი, ს. კოჩარიანი და ვ. პოგოჟევი.

● ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 28 აპრილი. ფიგურულ ციგურაობაში პროფკავშირთა საკავშირო პირველობაში გამოვლინდნენ ბოლო ჩემპიონები. ყინულზე ცეკვაში ყველას აჯობეს ტ. ვოიტიუკმა და ვ. ეიგალინმა. ქალთა ერთეულებში ტოლი არ ჰყავდა მოსკოველ ე. შჩეგლოვას, ხოლო ვაჟებში — ლენინგრადელ ვ. მეშკოვს.

● ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, 28 აპრილი. ინგლისის ამ ქალაქში დაიწყო თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთის, იტალიის, უნგრეთის, შვეიცარიისა და ჰოლანდიის სპორტსმენები. ლიდერობა ხელთ იგდო უნგრელმა ფ. ტიორიოკმა. მას 90 ქულით ჩამორჩება თანამემამული, მსოფლიო ჩემპიონი ა. ბალცო. გუნდურ ჩათვლაშიც უნგრელები დაწინაურდნენ.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 28 აპრილი. წყალბურთელთა აქ გამართულ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ბელგრადის გუნდები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 3:3.

● ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 28 აპრილი. არმიელ ტანვარჯიშეთა საკავშირო შეჯიბრებაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა მოსკოველი ვ. ლახიცკი. ქალებში გაიმარჯვა მისმა თანაქალაქელმა ს. ბუზინამ.

● ᲜᲔᲐᲠᲝᲚᲘ, 29 აპრილი. აქ დამთავრდა მსოფლიოს უძლიერეს წყალბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, რუმინეთის, უნგრეთისა და იტალიის გუნდები. საბჭოთა გუნდი ძირითადად ახალგაზრდა სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. ბოლო ორ მატჩში საბჭოთა წყალბურთელებმა სძლიეს რუმინელებს (10:9) და ფრედ (3:3) ითამაშეს რომის ოლიმპიადის ჩემპიონებთან — იტალიელებთან. ბოლო შეხვედრა იტალიელებმა ასეთივე ანგარიშით დაამთავრეს უნგრელებთან. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. უნგრეთი, 2. იტალია, 3. სსრ კავშირი, 4. რუმინეთი.

ხელბურთელთა ტურნირი „კავკასიის თასზე“

გამარჯვებით დაიწყეს

ხელბურთელ ქალთა გათამაშებას „კავკასიის თასზე“ ხანმოკლე ისტორია აქვს, მაგრამ მან უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ თასის დაწესების თაოსნობა ქარხანა „როსტსელმაშის“ სპორტულ კლუბს ეკუთვნის. როსტოველებმა პრიზიორობათვის დააწესეს, აგრეთვე, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, რისთვისაც ტრადიციულად იბრძვიან როგორც ქალთა, ისე უფროსი ასაკის გოგონათა გუნდები.

პირველი ტურნირი შარშანწინ გაზაფხულზე გაიმართა დონის როსტოვში. მაშინ იმარჯვეს ბაქოს „სპარტაკის“ გუნდმა და ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლის ნაკრებმა. თბილისის „განთიადის“ ქალთა გუნდი და თბილისის მოსწავლეთა ნაკრები III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ.

იმავე წლის შემოდგომით ხელბურთელები ერევანში შეიკრიბნენ. ქალებში უძლიერესის სახელი მოიპოვა „როსტსელმაშის“ გუნდმა, ხოლო გოგონებში — ერევნის მოსწავლეთა ნაკრებმა.

1967 წელს ასპარეზობა ბაქოში გაიმართა. ქალებშიც და გოგონებშიც პირველობა ბაქოელებს ხვდათ („სპარტაკი“ და ბავშვთა ცენტრალური სპორტსკოლა). აზერბაიჯანის დედაქალაქში თბილისის „განთიადის“ ქალთა გუნდმა III ადგილი დაიკავა.

და აი, დადგა მეოთხე გათამაშების ჯერი. ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს ტურნირი თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს. გუშინწინ გაიმართა პირველი შეხვედრები. კარგად აიღეს სტარტი თბილისის ქალთა და მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა, რომლებსაც მწვრთნელთა სამეული მეთაურობს: სპორტის საპატიო ოსტატი ჯ. ბაგრატიონი, ა. ბათმანოვი და ლ. სოროკინი.

ჩვენი გოგონების მეტოქენი იყვნენ სტავროპოლელი ხელბურთელები. ამ გუნდების მატჩი თავდაპირველად თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა და ტაიმის ბოლო, 25-ე წუთზე თბილისელები დიდად დაწინაურდნენ — 9:3, ჩვენებმა შესვენების შემდეგაც ძლიერად ითამაშეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს — 20:7. გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მოთამაშეები ზუსტად ამთავრებდნენ პირველი შეტევით წამოწყებულ კომბინაციებს. განსაკუთრებით ისახელა თავი მეარეკველასელმა ს. ახობაძემ, რომელმაც პირველი შეტევიდან არა ერთი ლამაზი გოლი გაიტანა. თბილისელთა სასტარტო შვიდეული ასეთი იყო: მერაბიშვილი, ახობაძე (გაიტანა 5 გოლი), ლაზარევა (2), ჩოჩუა (5), გრიგორიევა, მიქაბერიძე (2), ბელოუსოვა (2). ამათ გარდა ითამაშეს: დანიელოვამ, ნეუდაჩინამ (2), ჭიჭვეიშვილმა, სუბრუნმა (2).

არც თბილისის ქალთა ნაკრებს გასჭირვებია პირველი მატჩის მოგება. ერევნელებთან მისი შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, პირველ ტაიმში გადაწყდა (14:3).

შესვენებამდე მასპინძელთა კარს იცავდა ვ. ივანოვა, რომელმაც ბევრი უძნელესი ბურთი მოიგერია, მათ შორის, 7-მეტრიანი საჯარიმოც.

მეორე ტაიმში თბილისელებმა ანაკი აღარ მოიკლეს (მეორე დღისთვის ოზოგავდნენ ძალებს), მეკარეც შეიცვალა და მხოლოდ ერთი ბურთით მოიგეს ტაიმი (7:6). საბოლოო ანგარიშია 21:9.

თბილისელთა სასტარტო შვიდეული ასეთი იყო: ივანოვა, ლეშჩიოვა (გაიტანა 2 გოლი), ლ. სოლომახინა (1), ლ. ახალაია (2), ა. კრასინა (2), ჯ. კასიანი (5), ს. ხურცილავა (4). მატჩში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, მიქაბერიძე, კუხიანიძე (3), ოდილავაძე (1), თვალჭრელიძე (1).

I ტურის დანარჩენი ორი მატჩის შედეგი ასეთია: ბოგბონნბი. როსტოვი — ერევანი 11:11 (7:8). ქალები. როსტოვი — კრასნოდარი 16:10 (9:5).

ჯ. ენუქიძე.

რასიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ

საკრესელ ეროვნულად

ლონდონი, 29 აპრილი. გუშინ ჰაიდ-პარკში გაიმართა მიტინგი, რომელიც ინგლისში რასიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ იყო მიმართული. აქ თავი მოიყარა რამდენიმე ათასმა დემონსტრანტმა, რომელთა უმეტესობასაც ახალგაზრდები შეადგენდნენ.

მიტინგის შემდეგ დემონსტრანტები გაემართნენ კონსერვატიული პარტიის „ბნელი კაბინეტის“ უოფილი წევრის ე. პაუელის სახლისკენ, რომლის ამასწინანდელმა რასისტულმა გამოსვლამაც მხარდაჭერა ჰპოვა ინგლისის საზოგადოების ზოგიერთ წრეში.

დემონსტრაციის მონაწილეებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებიც ფერადკანიან და თეთრკანიან მუშათა ერთიანობისკენ მოუწოდებდნენ. მანიფესტაციას მხარი დაუჭირეს ინგლისის კომკავშირმა, ახალგაზრდა ლიბერალთა ეროვნულმა ლიგამ, მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციებმა და ქვეყნის მთელმა რიგმა სხვა ახალგაზრდულმა გაერთიანებებმა.

ყოველი მხრიდან

ქვეყანა ქვეყანას ესაუბრება

მსაჯები დაცვას მოითხოვენ

იტალიის ქალაქ კასტელე ანბატეში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი გუნდები „სან ანტონიო ანბატე“ და „სანტა მარია“. როცა მსაჯმა სანდრო დელო როკომ მინდვრიდან გააძევა „სანტა მარიას“ კაპიტანი, კლუბის უველა მოთამაშე არბიტრს მივარდა. კლინიკაში იგი უურმოგლეჯილი მიიუვანეს. როცა გამოეწერა, მსაჯმა განაცხადა: ფეხბურთის მინდორს აღარ გავეკარებიო.

იტალიის ფეხბურთელთა კავშირმა კლუბს ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამ საკითხზე მსჯელობის დროს სხვა ამბებიც გამოირკვა: ურბინოში გამართული მატჩის დროს კინაღამ ლინჩის კანონით გაუსამართლებიათ როკოს კოლეგა ლაურენტი, რომელმაც მინდვრიდან გააძევა სამი უდისციპლინო მოთამაშე. ლაურენტმა პოლიციელის ფორმა გადაიცვა და ისე გაიპარა გასახდელიდან, სადაც თავს აფარებდა.

იტალიის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ, თუ წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ უმკაცრეს ზომებს არ მიიღებენ, მთელს ქვეყანაში ამბოხებას გამოაცხადებს. „მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია“, ნათქვამია მსაჯების განცხადებაში.

ფიზკულტურა გადანერგილი გულისთვის

აქმმების ცნობით, დოქტორ კ. ბერნარდის პაციენტი ფილიპ ბლაიბერგი ჯერჯერობით თავს ნორმალურად გრძნობს. მართალია, ავადმყოფს ისევ ადგას თავს მომვლელი ქალი, რომელიც მის კვებას და უმკაცრეს რეჟიმს ადევნებს თვალს.

ამ დღეებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გაზეთებში გამოჩნდა ერთი საინტერესო სურათი: კაცი, რომელსაც სხვისი გული უდგას, ვარჯიშობს. საქმე ისაა, რომ ბერნარდმა თავის ავადმყოფს სამკურნალო ფიზკულტურა დაუნიშნა და ბლაიბერგიც ასრულებს ექიმის დავალებას.

თავად ავადმყოფი გვიამბობს: „ვარჯიში ჩემი ავადმყოფი გულისთვისაც სასიცოცხლო წყარო იყო. იგივე შემიძლია ვთქვა ახალ გულზეც. მან მშვენივრად მიიღო ფიზკულტურა. მე, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დიდხანს ვერ ვივარჯიშებ კრივში, ვერ ვირბენ და ფეხბურთს ვერ ვითამაშებ, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ეს დროც დადგეს“.

ვის მეტს უხდიან?

მიუხედავად იმისა, რომ ჩოგბურთელთა საერთაშორისო კავშირი ინგლისის ფედერაციის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მოღვაწეთა აზრს მიემხრო და ღია ტურნირების ჩატარების ნებართვა გასცა, პროფესიული ცირკის მეპატრონეები კვლავ ყიდულობენ მოყვარულებს თავიანთი ტურნირებისა და წარმოდგენებისთვის.

მხოლოდ ამ დღეებში გახდა ცნობილი, რომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამოყვარულო ჩოგბურთის ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორიც არიან როი ემერსონი (ავსტრალია), ენ ჰეიდონ-ჯონსი (დიდი ბრიტანეთი), ბილი ჯონ კინგი, როზმარი კაზალსი (ორივე — აშშ), ფრანსუაზა დიური (საფრანგეთი). ხუთივე გადავიდა ჯ. მაკჰილის „პროფესიული ჩოგბურთის ლიგაში“, რომელმაც მათ სეხსაციიური გასამრჯელო შესთავაზა.

მაგრამ ვარსკვლავებს ახლა იმაზე მოსდით დავა, ვის მეტს უხდიანო. ყველაზე კმაყოფილი ჯერჯერობით ემერსონია. იგი 75 ათას დოლარს მიიღებს ევროპაში (საფრანგეთი და ინგლისი) 26-კვირიანი ტურნესთვის, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული რამდენიმე ტურნირისთვის. ჩოგბურთელის ანგარიშით, მისი წლიური შემოსავალი 100 ათას დოლარს აღემატება.

ცეცხლოვანი ნახტომი

...ალში გახვეული კაცი დიდი სიმაღლიდან წყლისკენ მიფრინავს — ფრანგი მარსელ მეი მაყურებელს ართობს. რისთვის სწევს რისკს მარსელი, რად დახჭირდა ეს საშინელი ცეცხლოვანი ნახტომი?

ოდესღაც იგი საკმაოდ ცნობილი წყალში მხტომელი იყო, მაგრამ ოცნება ბრწყინვალე სპორტულ კარიერაზე, უზრუნველ სიბერეზე წლებს გაჰყვა. და მაშინ მარსელმა მოიგონა ნომერი, რომელსაც ფული უნდა მოეტანა მისთვის.

მეი ქალაქ ტულას მახლობლად მდებარე ტბაზე მოეწყო მაშველად და გულმოდგინედ ვარჯიში დაიწყო. შემდეგ მან „ცეცხლოვანი ნახტომებიც“ შეასრულა — ტანზე ნავთს გადაისხამს, ტანსაცმელს ცეცხლს წაუკიდებს და ოცმეტრიანი კოშკიდან ხტება.

შემდეგ მარსელ მეი მაყურებლებში აგროვებს ფულს, რომლის ნაწილსაც ობოლი ბავშვების სახლს აძლევს, ნაწილს კი თვითონ იტოვებს. 60 წლის სპორტსმენი უკვე ბევრჯერ ჩავარდა საფრთხეში, მაგრამ სახიფათო საქმეს თავს მაინც არ ანებებს. მან იცის, რომ სწორედ რისკისთვის უხდიან ფულს.

* * *

სურათებზე: „ცეცხლოვანი ნახტომი“ (მარცხნივ) და მარსელ მეი ნახტომის შემდეგ.

ფოტო „ბუნტე-ილიუსტრირტე“ — აას-ისა.



◆ **პრაღა**, 29 აპრილი. **აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე ფინალური მატჩი კალათბურთში: ადგილობრივი „სპარტას“ ქალთა გუნდს შეხვდა რიგის ტტტ. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 58:47. როგორც ცნობილია, პირველი მატჩიც (18 აპრილს რიგაში) საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 76:45. ამრიგად, რიგელებმა შეინარჩუნეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი.**

◆ **პრაღა**, 29 აპრილი. ჩეხოსლოვაკიის ოთხდღიან საერთაშორისო ველორბოლაში ყველას აჯობა ესტონელმა სპორტსმენმა პ. იიფერტმა: ხუთ ეტაპად დაყოფილი 500-კილომეტრიანი ტრასა მან 12 საათსა და 9 წუთში დაფარა. II ადგილი დაიკავა პეტერსონმა (შვეცია) — 12:13.00, ხოლო III — დალერმა (ჩეხოსლოვაკია) — 12:14.09. მომდევნო ოთხ ადგილზე საბჭოთა ველოსიპედისტები გავიდნენ: ი. კლაასეანი (ტარტუ) — 12:14.15, რ. კალნენიეკსი (რიგა) — 12:14.22, ვ. ჩერკასოვი (მოსკოვი) — 12:14.36, ი. პოლუპანოვი (კიშინიოვი) — 12:15.00. ომსკელმა ვ. სოკოლოვმა მე-14 ადგილი დაიკავა, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ე. სავინმა — მე-16, ხოლო მინსკელმა ვ. ტკაჩენკომ — 46-ე.

◆ *მოსკოვი, 29 აპრილი. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ნაკრებმა გუნდებმა წარმატებით დაამთავრეს თავიანთი საზღვარგარეთული გამოსვლები. ბუდაპეშტში ქალთა გუნდმა ანგარიშით 384,65:376,65 დაამარცხა უნგრეთის ნაკრები (პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო ლ. პეტრიკი — 77,75 ქულა), ხოლო შვეიცარიაში ვაჟთა ნაკრებმა ფარ-ხმალი დააყრევინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებს — 576,75:570,05 (აქ ყველას აჯობა მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მ. ვორონინმა — 116,75 ქულა). ახლა ჩვენი ნაკრები გუნდები სამშობლოში ბრუნდებიან და მაისში ქვეყნის პირად გუნდურ ჩემპიონატს გამართავენ ლენინგრადში.*

25-გზის ჩემპიონი

ონტევიდეოს „პენიაროლმა“ თავისებური საერთაშორისო რეკორდი დაამყარა ფეხბურთში. ეს კლუბი 25-ჯერ გახდა ურუგვაის ჩემპიონი, რაც არნახული მოვლენაა ფეხბურთის ისტორიაში. „პენიაროლი“ ორჯერ (1961 და 1966 წლებში) იყო საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი.

რედაქტორი მ. ბაბაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირი და თბილისის ლენინის რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლა იუწყებიან მე-13 საშუალო სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებლის

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კილკინოვის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.